სამახსოვრო ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებლისთვის

ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი:

- არეგულირებს კენჭისყრის შენობაში შემომსვლელი ამომრჩევლების ნაკადს (ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით, უზრუნველყოფს ამომრჩეველთა შორის უსაფრთხო დისტანციის დაცვას (ასეთი შესაძლებლობის შემთხვევაში)).
- სთხოვს ამომრჩეველს, წარმოადგინოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი და შემოწმების პროცესში დროებით მოიხსნას პირბადე.

<u>ყურადღება!</u>
თუ ამომრჩეველი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის წარდგენის დროს დროებით არ იხსნის პირბადეს, იგი არ დაიშვება კენჭისყრის შენობაში.

- ულტრაიისფერი ფარნით ამოწმებს, აქვს თუ არა ამომრჩეველს მარკირება.

<u>ყურადღება!</u>
თუ მარკირების შესამოწმებელმა სპეციალურმა ხელსაწყომ გამოავლინა, რომ ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება, მას ეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა, ხოლო მისი ვინაობა მიეთითება კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში.

- ამომრჩეველს კენჭისყრის ოთახში შეუშვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩევლისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩეველი არ იმყოფება. კენჭისყრის ოთახში შესული ამომრჩეველი მიდის იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება ამომრჩეველთა სიაში შეტანილი მისი გვარის პირველი ასო.

<u>ყურადღება!</u>
ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით, ამომრჩეველი და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე სხვა პირი კენჭისყრის შენობაში არ დაიშვება პირბადის და სადეზინფექციო ხსნარით ხელების დამუშავების გარეშე.